

1. ორპირის ოქროპირი

ეს არ არის მართლა ოქროპირი,
ეს მხოლოდ ორპირის ბაყაყია...
დიდებულად შვენის სამეფო პორფირი,
დიდებულად იცის დოგმატების მალაყია.
მე თვითონ გამზარდა: ტიცინ ტაბიძე
პოეტი აყვია.
საახალწლოდ, საშობოდ და სააღდგომოდაც
მე ერთი და იგივე მაქვს სათქმელი
გაფრენილ ეკლესიის კათედრაზე.
ვამბობ პირდაპირ და აშკარად,
როგორც კაზინოში კრუპიე: "ბაკკარა"
ჩვენთვის დღესასწაულები მარტო
რაფიელ ერისთავის ლექსებშია
რიდევ კარგია, თუ არ დაგავიწყდათ!...
ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია,
ან თვითონ ორპირი
დედაჩემს რომ უყვარს მეწველი პროზა
[შენ, ვინც ამაზე გაიცინებ,
ვიცი, შვილიც ისე არ გიყვარს].
იმერეთში მღერის დანიელა ურია,
კახეთში კიდევ – დედას ლევანა.
ყველაფერს მივცემდი, რაც რომ მაზადია,
რომ მახსენებდეს ერთხელ მაინც ქრესტომატია.
ამბობენ, იყო გიორგი საკაძე,
ჩრია მზითებს უმატებდენ, „ვეფხვისტყაოსანს“
[ამას ქვია ჩოხიანი დადაისტები].
ივანე ჯავახიშვილი წერს პლუტარხივით,
იქნებ ვინმემ ჩემზეც დაწეროს დისერტაცია
(მემარცხენეობა პოეზიაში უსათუოდ დასატაცია].

.....

საქართველოში ყოველ ჭორფლიან ქალს
თავის საკუთარი ჰყავდა პოეტი.
დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს,
მითხარით, მართლა ვინ ეტყვის ლექსს?
ასე ამბობს ორპირის ოქროპირი
მსუქანი გომბეშო:
ამხანაგებო, პოეტებო, ვისაც გიჭირთ ლექსების წერა,

ვიცი, რომ ამით გულზე მოგეშოთ.
იყავით გამბედავი, სთქვით პირდაპირ,
თქვენზე უფრო სასტიკია თქვენი ლექსები.
ეხლა კი ნ. ო. ტ. ია და ელექტროფიკაცია,
ლექსებისთვის ვინც მოიცლის, ის რა კაცია?=
კითხეთ თქვენ ნაცნობ პატიოსან პოეტს,
თუ ის შინაურია,
ვინ უფრო ადელვებს:
სტეფან მალარმე, თუ დანიელა ურია?=
1921 წ.

1921 წ.

2. ორპირის ოქროპირი

ეს არ არის სიმღერა... ეს არც ლექსია,
მე თვითონ მაშინებს გომბეშოს ანექსია.
მე მინდა ვთქვა ქართველ ხალხმა რაც დამავალა,
მე მინდა გავხსნა მისი აწმყო და მომავალი.

ჩემ წინ იყურებიან: იალბუზი და მყინვარი,
როგორც ორი ბოძი-ერთი ეშაფოტის
მურვან ყრუ და ყველა დესპოტი მძვინვარე...
გაძარცულ კვართს გრიგალით ჰპოტნის...

ამ დიდი ქვაბიდან ხმა არსად გავა,
ბედმა სხვა ტომი ამ ადგილას მიწით აგავა.
კიდევ დაშრება ბევრი ზღვა, ბევრი მდინარე,
ჩვენ ოქროს ნაპირს მოადგება ახალი არგო.

ყველამ ბევრი სვა, ბევრი ჭამა [ღმერთმა შეარგოს],
ყველა დაარტყამს თავზე უროს, თუკი ნახა ხალხი მძინარე,
ჩვენ არ გვეშინოდა არასოდეს გამოძახების,
ჩვენ ყოველთვის გვყავდა სეზონის ფალავანი.

ხედავთ ნაკვალევს ალექსანდრეს გათხრილ არხების?
ამ ქვეყანას ძვლებსაგან აქვს გალავანი.
რა უყოთ რომ კახაბერი გახდა აგასფერი,
მიწა არ იკარებს ძველ რკინის პალოს.

ყველას გაასწორებს სააკაძის ხმალი ნაფერი,

თავის განწირვის ამ განკითხვას ვინ დაემალოს?..
კიდევ ამოვა წიწამურზე ორქიდეია,
მტკვარი ამოიტანს მაჩაბლის გვამს.
თუ საქართველო ბეწვის ხიდო,
ბევრ სხვა გენიას ის ცეცხლით დასწვავს...
.....
.....

ამას წერს ნაბოლარა დიდ პოეტების,
რომელსაც დაელია ლექსის არაქათი.
რაოცა ორპირის ცეცხლი მოგედებათ
მაშინ გაიხსენეთ ეს ჩემი ტრაქტატი.

1921 წ.
ტფილისი.